№ 37. 20 თებერვალი, შაბათი. 1866—1882. 20 თებერვალი, შაბათი. № 37.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გლეხვინის ბრანტშტეტზეთ. ია. მუხრანსკის ხახლებ. ე. კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გაჩეშ მცხოვრებთათვის იდრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თელის წლისა	9 მან.	ხამის თვისა	3 მან.
ექვის თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მოთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივ ასოთ ბეჭდვა ასოზე 5 შაური.

თუ ხანგრძლივ მოითხოვენ, ფასი ნაკლებ-ნაკლებ-ადა შეთანხმებულებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით გვრ დაუბრუნებს ჯეტონს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეულ-ობა „დროებისა“ დაბეჭდილია.

ტელეგრამმა

(ს. პეტერბურგიდან ტელეგრაფის სააგენტოსა.)

პეტერბურგი, 18 თებერვალს. სახალხო განათლების სამინისტრომ განზრახვა აქვს, რომ სახელმწიფო სასწავლებლების (გიმნაზიების და სხვ.) შაგირდები საზეიმოდ უფრო დიდის ხნით დათხოვნილი იქმნენ, ვიდრე ამ დღემდინ იყვნენ.

„მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ „ოზეთის „ნოვოე ვრემიას“ ოფიციალური ხასიათი არა აქვსო.

სერბიიდამ მოვიდა ამბავი, რომ აჯანყებულ სლავიანებს ფოჩა აუღიათ.

პეტერბურგი, 18 თებერვ.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	— 95	— 50
მეორესი	— — — — 91	— 25
მესამესი	— — — — 91	— 50
მეოთხესი	— — — 91	— 25
მეხუთესი	— — — 90	— 25
აღმოსავლეთის პირვ.	— 90	— „
აღმოსავლეთის მეორე	90	— „
აღმოსავლეთის მესამე	90	— 25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8	— 8

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 217	— 75
მეორე სესხის	— — 215	— 50

100 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 24 — 43	პენსი
ამბურღი	— 207 — 50	ცენტი
პარიჟი	— — 256 — 50	სანტიმი
ბერლინი	— „ — „	პფენიგი

ქართველთ ქონება ათონის მთაზე

თფილისი, 19 თებერვალს.

ძველის-ძველიდგანვე ღვთის-ნიერ ქართველებსა და იმათ მეფეებს ჩვეულება ჰქონიათ, რომ, თავიანთ სულის მოსახსენებლად, ანუ რაიმე საქმეში გასამარჯვებელად, მამულებს, ფულს, ძვირფას ნივთს შესწირავდნენ ხოლმე მონასტრებსა და ან ეკკლესიებს. ამ შეწირულიდგან შესდგა ის დიდი და მდიდარი ქონება, რომელიც ზოგიერთ მონასტრებსა ჰქონდათ დღემდინ ჩვენს ქვეყანაში და რომელიც დღეს სახაზინოდ ჩამოერთვათ.

იერუსალმეთი, ათონის მთა და იმის ივერიის მონასტერი განთქმული ყოფილან ძველად ჩვენში. ისტორია გვაჩვენებს, რომ თითქმის ქრისტიანობის მოღებისათანავე (მეოთხე საუკუნიდამ) დაუწყიათ ქართველებს იერუსალმეთსა და ათონთან კავშირი; სწირავდნენ ამ წმინდა ადგილებსა და იმის მონასტრებს მამულს, ფულს და ძვირფას განძეულს. ათონში ჩვენ წინაპართ თავის საკუთარი—ივერიის მონასტერი აუგიათ; იერუსალმეთის მონასტრებშიაც ჰქონიათ ქართველებს თავ-შესაფარი; აქაურ ბერებს შეუდგენიათ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ახლაც არსებობს თურმე და პლ. იოსელიანსა და ნიკ. ჩუბინაშვილს უნახავთ. ათონის მონასტერს, როგორც მოგეხსენებათ, ახლაც დიდი მამულები აქვს საქართველოში და რუსეთშიაც.

მაგრამ რა! როგორც მონასტერი, აგრეთვე მთელი იმის ქონება და შემოსავალი, ქართული ბიბლიოთეკაც ამ ჟამად, რაღაც მანქანების ძალით, ბერძნის ბერებს ჩაუგდიათ ხელში და მხოლოდ ისინი სარგებლობენ.

ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ათონის მთიდამ ერთი ჩვენებური ბერი ბენედიქტე ბარკალაია, რომელსაც იქაურ ქართველ ბერებისაგან (რომლის რიცხვი ამ ჟამად თურმე ოცამდინაა) მინდობილობა ჰქონდა, საცა და როგორც რიგი იყო ეშუამავლებინა და ეცადნა რომ ათონის ივერიის მონასტერი ბერძნებს ჩამორთმეოდათ და, სულ თუ არა, ერთი წილი მაინც იმის შემოსავლისა ჩაჰბარებოდა ამ მონასტრის ნამდვილ მეპატრონეებს — ქართველებს.

მის არ მიჰმართია მ. ბენედიქტემ? დიდ მთავარ კავკასიის ნამესტნიკს რამდენიმე არზა მიართვა, ძუთაისისა და თფილისის თავად-აზნაურთა კრებებზედ ილაპარაკა და ითხოვა შუამავლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს ძვირფასი მამა-პაპეული ნაშთი არ დაჰკარგოდა ქართველობას, ქართველ დიდ-კაცებს კიბეები გაუცვითა, რედაქციებში დაიარებოდა,— ერთის სიტყვით, ყველას ეხვეწებოდა დახმარებას, ვისაც კი რაიმე ხმა და გავლენა შეეძლო ჰქონოდა ამ საქმეში.

საუბედუროდ, ამ ერთის კაცის მეცადინეობით ჯერ-ჯეროობით არა გამოდის-რა. დიდმა მთავარმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რამდენ-ჯერმე მიაწერინა რუსეთის სტამბოლელ ელჩთან, რომ ყური ეგდო ამ საქმისათვის და კანონიერი თხოვნა ქართველებისა, თუ შესაძლებელი იყო, დაკმაყოფილებინა. მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა ეს მიწერ-მოწერა და თხოვნა-ვედრება ჯერ-ჯეროობით უნაყოფოდ რჩება.

ახლა, როგორც შევიტყეთ, ათონის მთიდამ ჩამოსულან თფილისში რამდენიმე ბერძნის არხიმანდრიტები და ქართველებთან მორიგებას თხოულობენ. მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია და განსაკუთრებით ამისთანა სასულიერო საქმისა. მაგრამ სამართლიანობის დავიწყებაც-კი არ შეიძლება; და ეს სამართლიანობა თხოულობს, რომ ბერძნის ბერებს ჩამოერთვას ის, რაც იმათ არც ისტორიით, არც კანონით და არც

«დროების» ფელეტონი, 20 თებერვ.

მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

როდესაც ცოტა ხანმა გაიარა და დიანბეგი გონზედ მოვიდა, ის გაშმაგებით მივარდა იქ მყოფ, გლეხებს რომელნიც ქუდ მოხდილნი ელოდნენ, თუ როდის ინებებდა დიანბეგი, იმათ მოგონებას და გასამართლებას.

— რა გინდათ? რად მოსულხართ? დაუყვირა იმან.

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, თქვენ დაგებარებინეთ და ჩვენც გიახელით.

მდაბალა თავის დაკვრით უპასუხეს იმათ.

— თქვენ დაგებარებინეთ, თქვენ დაგებარებინეთ, გაუკირცხლა დიანბეგმა; გაიარ-გამოიარა და მემრე დაუმატა.

— რა ეუყოთ, რომ დაგიბარეთ? ეხლა მე თქვენთვის არა მცალიან.

გლეხ-კაცებმა შეხედეს ერთმანეთს და ტოკვა დაიწყეს. იმათ ვერ გამოერკვიათ ბატონი დიანბეგი ეხუმრება, თუ მართალს უბძანებს.

— რაღას უდგეხართ... წადით მეთქი. ცოტა სიჩუმის შემდეგ კიდევ დაუყვირა დიანბეგმა და შეიჭმუხნა წარბები.

— მოგვისმინე, შენი ჭირიმე ბატონო, დაიწყო ერთმა ჭაღარა შერეულმა მოხუცმა.

— სწორე მოგახსენოთ შენის მეტი საქმე არა მაქვს! დაცინვით წარმოსთქვა ხევის მმართველმა.—წადით, წადით ეხლა არა მცალიან თქვენთვის. მე დღეს ძვეშეთს მივდივარ, თუ გინდათ თქვენც იქ გადმოდით.

— შე დალოცვილო! ამ ყელისჭრა მუშაობაში მოგვაცდინე და ახლა კიდევ ძვეშეს უნდა წავიდეთ?... მთის ხალხი თუ თიბაში გააკეთებს რასმე, თორემ სხვა როდის, ან რა უნდა იმუშაოს?

— ხმა გაიწყვიტეთ! დასჭყივლა დიანბეგმა და დაუბარტყუნა ფეხები.

— ნუ გაგვიწყრები, შენი ჭირიმე ბატონო. დაიწყო ისევ იმ მოხუცმა— ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილის დღე ეხლა გახლავს და...

— მე რა?.. ჯანიმც გაგვარდნოთ, თუნდ ერთს დღეს გაწყვეტილხართ! აი დარდი!

— ბატონო...

— ეაზახებო! ბააწყვეტინა დიანბეგმა. მათრახები მაგათ.

იქამდისინ შემაძრწუნებელად დაინახეს ეს ბძანება, რომ იმისთანა გარყვნილ იასაულებმაც-კი, როგორიც ბირგოლა იყო, ვერ მოახერხეს ხელის გამოღება. ამის გამო რუსის ყაზახებს, რომელნიც იმ დროში დიანბეგების და ნაჩალნიკების განკარგულებაში აყენენ, შეხედათ ბძანების აღსრულება.

— უღმერთონო! უსამართლონო! შეუბრალებელნო! ბაგვწყვიტეთ ბარემა, დალიეთ ჩვენი სისხლი. ბასძახოდნენ გლეხ-კაცები, რომელთაც მათრახებით ულმერთოდ და შეუბრალებლად სცემდნენ. ცხვირი, პირი, ყურები აღარ გააჩნდათ საცოდაოებს და თქრიალით გადმოდიოდათ სისხლი...

ჩქარა შემოფანტეს ეს ხალხი, რომელთ მწუხარებას რაღაცა სიამოვნებით უყურებდა ამ ბძანების მიმცემი და ხან-გამოშვებით აქეზებდა ერთგულ ამსრულებლებს:

— აგრე, აგრე... ეოჩაღ, ეოჩაღ!

როდესაც ცოტა გული იჯერა ამ სურათით დიანბეგმა, რიგი მიერგო იაგოს, რომელსაც ისე დღის გამწარებას უპირებდა.

აბა, ახლა ის ბიჭი მომიყვანეთ. დაიძახა ამან ბოლოს.

— იაგო, შენი ჭირიმე? იკითხა ბირგოლამ.

— ჰო, იაგო.

იაგო მოიყვანეს, რამდენიმე ყაზახმა, რომელნიც თოფებ გამიშვლებულები მოსდევდნენ იმას, როგორც ერთს ავაზაკს.

— რა უყავი ცალები? დაუყვირა დიანბეგმა იაგოს, მოყვანის უმალეს.

— რა ცალები? იკითხა იმან და გაშტერებული დაუწყო ყურება.

— ერთი ამას უყურეთ და?.. ვითომ არც-კი იცის!... ის ცალები, რომელიც წუხელ მოიპარე.

— მე არ მომიპარავს. მტკიცედ და გადაწყვეტით უპასუხა იმან.

— უბრალოდ ცდილობ ჩემს მოტყუებას, მე კარგად ვიცი, რომ ქურდი შენა ხარ.

— ღვთის მადლმა, არა ვარ.

— არ ხარ?

— არა.

— შენ არ გინდა სთქვა და ენახოთ გათქმევინებ თუ არა?.. მაშ წუხელ, შენი დაჭერის წინ, სად იყავ?

სინიდისით არ ეკუთვნის და ჩაბარდეს ნამდვილ მეპატრონეებს.

ერთ დროს ათონის მთაზე ქართველ ბერებს უმაღლესი სასწავლებელი ჰქონიათ, სადაც სწავლის მოსუსნე ქართველები მუდამ წელიწადს გზავნიდნენ თავიანთ შვილებს და ზრდიდნენ. როგორც ისტორია მოგვითხრობს, ამ სასწავლებელში თითქმის მუდამ ორმოცდ-ათამდინ ქართველები იზრდებოდნენო. ამას გარდა იერუსალიმეთში და ათონის მთაზე არის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც ვინ იცის-რამდენ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი ძველ ისტორიისა და ლიტერატურისათვის.

სულის საქმეს გარდა, ეს ორი გარემოება უნდა გვაიძულებდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუნჯის უკან დაბრუნებაზედ. ვიმეორებთ, იერუსალიმეთისა და ათონის მთისაკენ მარტო სულის საქმე კი არ მიგვიზიდავს, არამედ საერო საქმეც.

და ამიტომაც ჩვენი საზოგადოება ვალდებულია, რითაც და როგორც კი შეუძლიან, ხელი მოუმართოს ამ საქმეში მ. ბენედიქტეს, რომელსაც მარტო, თუ დამხმარი და თანამგრძნობი არ ეყოლა, არაფრის გარიგება არ შეუძლია.

დღიური

ძურდობა და ავაზაკობა ერთობ გახშირდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში; როგორც პოლიციისაგან გამოცხადებულ ოფიციალურ ცნობებიდამ სჩანს, დღე არ გაიელის ისე, რომ სამი-ოთხი და ხან მეტი ქურდობა და ბოროტ-მოქმედება არ მოხდეს სადმე.

ამას წინად ქალაქში გარცელებული იყო ხმა, ვითომც მთა-წმინდაში ვილაც ორ ყმაწვილ კაცს დაექირავოს ოთახი, რამდენიმე დღის შემდეგ სადღაც გაჰქრენო და როდესაც პოლიციამ გაჩხრიკა ამათი სადგომი, ერთს დიდ შკაფში ორი ახალგაზდა ქალი ნახეს ჩამომღვრეული ეკიდნენო. მაგრამ, როგორც პოლიცია აცხადებს ახლა, ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. ყოველი შემთხვევაში ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ქურდებ-ავაზაკებისაგან შეშინებულის ჩვენი მცხოვრებლების ფანტაზია ერთობ აღელვებული ყოფილა, რომ ამისთანა უცნაური რამ მოუგონიათ და ყველას დაუჯერებია...

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დიდ-მარხვის მეოთხე კვირაში საზაფხულო თეატრში ზოგიერთ ღარიბ გიმნაზიელების სასარგებლოდ გამართული იქნება კონცერტი საზაფხულო თეატრში.

* * *

ზემო-იმერეთიდამ გვწერენ, რომ 1880 წ., იმპერატორს ალექსანდრე II-ის 25 წლის იუბილეის დროს, დ. ყვირილაში დაიბადა ჰაზრი, ამ იუბილეის დღის სახსოვრად, აქაურ ნორმალურ სასწავლებელთან ცალკე საქალებო სასწავლებელი დაფუძნებულიყო. იმ თავით ძალიან გაცხარებით მოჰკიდეს ამ კეთილ საქმეს ხელიო, 256 მან. მოაგროვეს, ადგილიც იშოვესო; მაგრამ მას აქეთ, აგერ მეორე წელიწადი მიდის, ამ საგანზე და არც მაშინ მოგროვილ ფულებზე სრულიად არა ისმის-რაო.

უცხოეთი

(გაზეთებიდან)

გერმანია. გაზ. „სტანდარის“ ბერლინელი კორრესპონდენტი შემდეგ ცნობას იწერება ამ გაზეთში დეპეშ.თ იმ შთაბეჭდილებაზედ, რომელიც რუსის ღენ. სკობელევის სიტყვებმა მოახდინაო იმპერატორს ვილჰელმზედ:

„ნამდვილის წყაროდამ შემიძლიან გაცნობოთ, რომ იმპერატორი ვილჰელმი დიდის ინტერესებით იხსენიებს რუსის ღენერალისაგან წარმოთქმულს სიტყვებს. იმპერატორმა სთქვა, მეგონაო, ამ ხანში-შესულობას მაინც მშვიდობიანობაში გავატარებდიო და დიდად ეწუხვარო, რომ ამ გვარ ფუქსავატ მუქარებს დავესწარიო, რომელნიც, შესაძლოა, თუ გაგრძელდნენ, აიძულებენ მას ენერგიულის ზომების მიღებას. თუ რომ მოუსაზრებელი სლავიანების მუქარა, რომელსაც ჰქადაგებენ ახლა ღენ. სკობელევი უცხო მხარეებში და ჟატკოვი და მისი მეგობარნი შიგ რუსეთში, არ შეჩერდა მძლავრის ხელის ვამოღებით, და იქამდის გასტანს, რომ აატეხინებს რუსეთს ომს, მაშინ ამ ჩრდილოეთის სახელმწიფოს მოუმზადებლად არ დახვდებიან არც ნემეცები და არც ავსტრიელები. იმ ომის შედეგი, რომელსაც ისე დარწმუნებით მოელის ღენ. სკობელევი, დამიჯერეთ, ისეთი არ იქნება, როგორც ეს ღენერალი მოელის... მე გავიგონეო, იწერება კორრესპონდენტი შემდეგ, რომ ბერმანიის ელჩს პეტერბურღში, შეეინიცს, მოუვ, მოწერილობა, რომ დაეკითხოს ამ საგნის შესახებ რუსეთის მმართებლობას და უკმაყოფილება გამოუცხადოს ... შესახებ, რომ ... გამოჩენილს ... დართაგანს ... ... წარმოსთქვას, რომელთაც არ შ... ლია არ ააღელვონ მთელი ბერმ... და ავსტრია.

ქართული ისტორია*)

ეფრატიდამ ინდოეთამდე ა... კიდებმა ალმოფხვრეს კვალი ბერძ... ლის განათლებისა. არშაკიდები ... ტრიდატ პირველის მეფის დროდ... (150 წ. ქრ. წინ) ცხოვრობდ... ზამთარ ქ. ქტეზიფონში, ზაფხ... სხვა-და-სხვა ადგილს, მომეტებულ... კი მიდიის ქალაქში ეკბატანაში. ... ტრიდატ პირველმა დაიჭირა სომხ... და 149 წელს იქ მეფედ დასვა ... ვისი უმცროსი ძმა ვაჰარშაგი პირ... ლი, დამფუძნებელი სომხეთის არ... კიდების დინასტიისა. დედა-ქალ... ვაჰარშაგმა ამოირჩია ნიზიბი ანუ ... ბინი ჩრდილო მესოპოტამიაში. ... ჰარშაგი დიდად ვანთქულია სომ... თის ისტორიაში. იმან დაიპყრა ... ტის ქალდეა და ლაზისტანი, მაკ... ნელთ მოკავშირენი, ბთიან-ტ... ტაიკი დააწესა საზაფხულო დ... ვასატარებელად და სანადირო ... ლად; შემოიყვანა თავის ბძანებ... ბას ქვეშ ალაკაზიის ტომნი და ... ხარკი დასდო; დანიშნა თავისი მ... გილეები ალოვანში ანუ ალბანი... ბუგარკში ანუ ჩვენ სომხეთში. ... გარეთის მთავარი ანუ ბდეშხი მ... სიტყვით, რომელიც მოჰყავთ თი... ყველა სომხების ისტორიკოსებს, ... მირდატისაგან, ანუ დარეხისკიან ... მელიც ალექსანდრე მაკედონ...

*) ის. „დროება“ № 36.

— თქვენ რაი გინდათ?

— მე ის მინდა, რომ უნდა მითხრა! დაუყვირა დიანბეგმა.

— რაისთვი უნდა გითხრა? მთელმა სოფელმა იცის, რომ ქურდი არა ვარ და ცხო საცა გინდა ეყოფილეიყავ, თქვენ რაი?

— ბათქმევინებ-კი არა, ჯანს გაგაგდებინებ, ჯანს.

— ძალა თქვენ ხელშია და ხმალი! ჰაი, ჰაი რომ გამაგდებინებთ, მაგრამ იმას-კი არ გეტყვით, საცა ვიყავ.

— მოიცადე, და თუ არ გათქმევინებ, მაშ კაცობაც არა ეყოფილვარ.

— ღვთის მადლმა ცოცხალს ვერ მათქმევინებ, და მკვდარი ხომ სულ ვეღარას ვიტყვი.

— ბაჩუმდი! დაუყვირა დიანბეგმა და გადმოუბრიალა თვალები.

— რაისთვი ვაჩუმდე? რაისთვი დამიჭირეთ?

— ბაჩუმდი მეთქი, მე შენ გიბძანებ.

იაგოს რალაცა აზრმა გაურბინა თავში და გარდაწყვიტა, რაც უნდა ეთქვათ იმისთვის, თუნდა ეს იმის საკეთილოც ყოფილიყო, მაინც პასუხი რა ეძლია და ეჯავრებინა დიანბეგი, რომელიც ასე უსამართლოდ ექცეოდა.

— არ გაჩუმდები.

დიანბეგი მივარდა და შემოჰკრა შემდეგის სიტყვებით:

— შენ, როგორც ჰბედამ, რომ აგრე მეპასუხები?

— რაისთვი მცემ? უთხრა იმან.

დიანბეგმა პასუხის მაგიერად კიდევ შემოჰკრა.

— ძალუმ კაცობ არაა. ხელ-შეკრულის ცემა? უთხრა იაგომ და გაკრაჭუნა კბილები.

— წაიყვანეთ, გამაცალეთ! დაიღრიალა დიანბეგმა.—გამაცალეთ მეთქი, თორემ შემომაკედება ეს ასეთ-აგეთი.

ყაზახები მისცვივდნენ და წაათრიეს იაგო, რომელისაც შეუყარეს ფეხებში ბორკილები და გაგზავნეს ძვეშეთს. ცოტა ხანს შემდეგ, დიანბეგი შევიდა თავის ოთახი და დაიწყო მზადება, რადგან თითონაც რამდენიმე საათს უკან ძვეშეთს უნდა გამგზავრებულიყო.

ბირგოლა, რომელიც თან ახლდა და ემსახურებოდა, ერთბაშად მივიდა კარებთან, გაიხედა გარეთ, მემრე მაგრა მოიხურა კარები და იდუმალებით დაიწყო.

— ბველეთიდგან *) ქისტები გახლავან.

— რაო. განსაკუთრებითი ყურადღების მოქცევით ჰკითხა დიანბეგმა და მოუთმენელობა დაეტყო პირის სახეზედ.

— ვერცხლეული და ფარჩა რაიმე აქვსთ ნაქურდალი.

— მერე?

— ნაჩალნიკთან მიჰქონდათ საჩუქრათა, მაგრამ მე იქ არ ვაეუშვი— თქვენთან მოვიყვანე.

დიანბეგს სიამოვნების ღიმილი გამოეხატა პირისახეზედ.

— ეჰაეი! შეაქო იმან.—მეც გადაგიხდი სამსახურს, ჩემო ბირგოლა.

— ღირსი არა ვარ შენს წყალობას, შენი ჭირიმე! თავის დაკერით უპასუხა იმან.—მაშ, როგორ მიბრძანებ?

— აქ ნუ მოვლენ, დაინახამს ვინმე და კარგი არ არის. უპასუხა დიანბეგმა და ჩაფიქრდა. იცი რა? ამალამ მე ქობში**) დაერჩები, ისინიც იქ ამოვიდნენ და იქ მომიტანონ.

— ქარგი, შენი ჭირიმე.

ამ დროს დიანბეგის კარებთან მ... მა ზარების წკრიალი და გაჩ... ტროიკა შებმული სამი ჩერქეზულ... ცხენით, რომელთაც კოხტად გვ... ზედ ეჭირათ თაეები და მოუთ... ლად ფეხებს აბარტყუნებდნენ ... კეპნილს მიწაზედ.

ჩქარა გამობრძანდა დიანბეგი, ... ბრძანდა ტროიკაში, იამშჩიკმა და... ეოქვები და მკვირცხლი მარდი ცხ... ბი, მხიარულად, მერცხალივით ... რინდნენ ქობისაკენ...

—

სოფელმა გაიგო იაგოს დატ... ღება, იმის გაგზავნა ძვეშეთში ... გადაწყვიტა, რომ ის ვეღარ დაბ... დებოდა და თავის სამშობლოს ... ბელს ვეღარ დაინახავს. რამდ... ბიჭი, რომელთაც შორი-ახლო... ეყურებინათ და გაეგონათ იაგოს ... პარაკი, უანბობდნენ დანარჩენებს ... ისინიც ქებას ასხამდნენ იაგოს ... გვარის გულადობისთვის.

— აბა, ღმერთს არ მოეტყ... რომ ბრალია იმისი დაღუპვა. ... მოსთქვა ერთმა.

— ბრალია და აგეთი?..

— მართლა ან ქურდი ყოფ... ყო, ან ავი კაცი, კიდევ ჰო, ... რაიასთვი მოგვედის აგრე?.. ყველ...

*) ბველეთი ერთი ქისტების სოფელია. ისინი გადმოსახლებულნი არიან ძველადგანვე, ქართველი მეფეების დროს ხევში.

**) ქობი—სტანცია და სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაედგინა სატრაპად ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვეთ მოყვანილთ Ისპანიიდამ იბერიელთ გამგედ. ბამოჩენილ თანა-შემწედ, ფაჰარშაგს ჰყვანდა შამბუ ბაგარატი. ბაგარატი იყო ურიათაგანი, მოსეს სჯულის აღმსარებელი შთამომავალი ჰრაჩესი რომელიც ნაბუქოდონოსორს მოჰყოლოდა იერუსალიმით სომხეთში. ბაგარატი შეიქნა მეფის მოადგილედ სომხეთის დასავლეთს საზღვრებში; ის გახდა ასპეტი ანუ სპათა უფროსი. იმას მიენიჭა მემკვიდრობითი უფლება გვირგვინის დადგმისა მეფის თავზე; მხოლოდ იმას ჰქონდა ნება სასახლის წარდგენის დროს შემოერტყა სარტყელი სამ რიგის მარგალიტით მორთული. ფაჰარშაგმა დააწყო თვით შინაგანი სომხეთის წყობილება; დასდო კანონად, რომ ერთ-ერთი მეფის ძე იმყოფებოდეს მეფის წინაშე მუმკვიდრეობის მზადებაში და დანაშთენი ვაჟები და ქალები კი ცხოვრობდნენ საუფლის-წულო მამულებში; ააშენა არმავირის ქალაქში ტაძარი და აქ ალმართა სტატუები მზისა, მთვარისა და თავის წინა-პართა; მიაგო ტაძრის მსახურთ დიდი პატივი და შეჭრიცხა იგინი პირველ გვართა რიცხვში; დაადგინა მსაჯულნი სასახლეში, ქალაქებში და სოფლებში; დაამყარა საშეფო პალატისთვის რიგი შემოსელისა და გასელისა, სადღესასწაულო დღეებისა და ნადიმობისა; განაწესა ოთხგვარი სპა სასახლის დასაცველად. ეს სპანი იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთ პირთაგან, რომელნიც ჰაოსისგან მომდინარობდნენ და საშეილიშვილოდ ჰფლობდნენ სოფლებს და დაბებს. „არ ვიცი—ამბობს მოსე ქორენელი—ამოიხოცაო თუ არა ძველი შთამომავლობა, ანუ აშლილობის გამო ამოწყვეტილ იქმნაო და ამ სპათა ნაცვლად შესდგენენო სხვანი სასახლის სპანი. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვთქვაო, რომ პირველნი სპათა დასნი მომდინარეობდნენო მეფეების სახლიდამ, მსგზავსად იბერიელთ სეფე-წულთა“. ეს სეთე-წულნი თვით ქართლის ცხოვრებაშიაც იხსენებიან.

ფაჰარშაგმა იმეფა 22 წელი და შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არშაკი პირველი, რომელმაც ცამეტი წლის განმავლობაში ისე ისახელა, როგორც მამამ. იმან დაამშვიდა ალეკაზიის ტომნი, რომელნიც ეძებდნენ განთავისუფლებას სომხეთის მეფის ბძანებლობისაგან. შემდეგ არშაკისა დაჯდა მეფედ იმისი ძე არდაშეზი პირველი. ამ არდაშეზის შვილი იყო ის არშაკი, რომელიც ქართველებმა გამოითხოვეს თავიანთ მეფედ. არდაშეზმა დასტოვა სომხეთში მცირე წლოვანი ძე ტიგრანი მეორე, რომელმაც, სომხური ისტორიის მოწმობით, დაიპყრა სირია და მრავალი თემი მცირე აზიისა, აგრეთვე მესოპოტამია და ადარბედაგანი. იმან სპარსეთის მეფეთ შემდეგ პირველმა მიითვისა ტიტული: მეფეთ-მეფე. ბაამაყებულმა თავის ძლევა—წარმატებით ტიგრანმა მიჰკერძა პონტის მეფეს მიტრიდატს, როდესაც ეს უკანასკნელი რომაელებს ებრძოდა.

რომაელნი პირველად გაესივნენ მცირე აზიის სვეში სირიის მეხუთე მეფის ანტიოქის დროს რომელიც ჰფლობდა მომეტებულ ნაწილს მცირე-აზიის ინდიდან ხმელთა-შუა ზღვამდე. ამ ჟამად ღირს შესანიშნავს სამთავროებს მცირე აზიისას შეადგენდნენ: ბითინია, პიფლაგონია, პონტი, პერგამი, ბალატი კაპადოკია და სხ. შემთხვევა შემოსელისა მცირე აზიაში რომაელებს თვით ანტიოქმა მისცა. ანტიოქი ცდილობდა, რომ ეგვიპტის მცირე-წლოვანის მეფის პტოლომე ეპიფანისათვის აეცილებინა რომაელების გამგეობა და თავისი გავლენა გაევრცელებინა ეგვიპეტზე. რომაელები და ანტიოქი შეიბრძოლნენ. რომაელებმა ანტიოქს სძლიეს 190 წელს ქრისტეს წინად და ჩამოართვეს ნაწილი მცირე აზიისა, რომელიც ტავრის მთას იქით მდებარებდა. სანამ რომის მინდობილნი პირნი დაბოლოებდნენ ამ საქმეს ანტიოქთან კონსული მანლი თავის წყობით შევიდა მცირე აზიის შუა-გულში და აქ შეება ანტიოქის მოკავშირე გალატებს, ახლად დასახლებულს გალატიაში ინდო-ევროპიულს ანუ ტევტონიურს ტომს. აქ რომაელები შეეჯახნენ პონტის მეფის მიტრიდატ მეექვსეს.

პონტს ჰსაზღვრავდნენ: ჩრდილოეთით პონტის ზღვა, აღმოსავლეთით საქართველოს პირი და სომხეთი, დასავლეთით პაანლაგონია, სამხრეთით კაპპადოკია. პონტში მდებარებდნენ სხვათა შორის ბერძნული ქალაქები: ამასია, ტრაპიზონი, კერასუნი, თემის-ყური და ნეო-კესარია. პონტში ცხოვრობდნენ სხვა-და-სხვა ტომნი. პონტის მეფეები თავიანთ შთამომავლობას აწარმოებდნენ სპარსეთის მეფის კიროსისაგან და უფრო მიტრიდატებად ისახელ-წოდებოდნენ. ისინი თავდა პირველად სპარსეთის ბძანებლობას ქვეშ იყვნენ და იმის სასატრაპოს შეადგენდნენ. მიტრიდატებმა დაიკავეს ბერძნული ქალაქები და თავის სამფლობელოში გაავრცელეს ბერძნული განათლება და ელინური ცხოვრება, დაიმონავეს სხვათა შორის ადგილობრივნი მთის-ტომნი—ტიბარენნი და ხალიბნი, რომელნიც ახლანდელის არხეოლოგების აზრით ქართველ ტომს შეადგენდნენ. მე-II საუკ. დამდეგ ქრისტეს წინად ფარნაგ პირველმა, მიტრიდატ VI-ს ძემ, დაიპყრა აღყეავებული და მჭიდროდ დასახლებული ბერძნული ქალაქი სინოპი, რომელიც დედა-ქალაქად დააწესა. სინოპის ფლოტი მიტრიდატებმა შეისაკუთრეს. პონტის სამეფო უაღრესად გაძლიერდა I საუკ. დამდეგ ქრისტეს წინად ფარნაკ I-ს შვილი-შვილის მიტრიდატ VI დიდის დროს (190 63 წ. ქრ. შობ. წინ) ეს მიტრიდატი ეომა რომაელებს 30 წელი. სულდა ლუკულლი და პომპეი ერთი მეორის შემდეგ ებრძოდნენ იმარ რომის ძალით და მიტრიდატის მოკავშირენი იყვნენ: იმისი სიძე, სომხეთის მეფე ტიგრანი, იბერიის მეფე არშაკის შვილი არტაგი, რომაელების ოკრტაგორი და ალბანიის ოკრაზესი. ამ დროს მიტრიდატს ეპყრა ქოლხიდა, საიდამაც იმას გამოჰქონდა თავის ფლოტისთვის სახმარი ხე-ტყე და რომელის განმგებლებათ ჰყვანდა თავისნი ერთგულნი კაცნი. იმათ შორის იხსენიება სტრაბონის ბიძა მოაფარნი. მიტრიდატი ჰფლობდა აგრეთვე უმეტეს ნაწილს აფხაზეთისას და ჩერქეზეთისას: იმასვე ექვემდებარებოდა ბოსფორი. სამმა ხან-გრძლივმა შებრძოლებამ რომაელებთან არ მისცა მიტრიდატს წარმატება. 65 წელს მიტრიდატი კიდევ შეუდგა ბრძოლას და კიდევ იძლია და მცირე სპით მიჰმართა თავის სიძეს ტიგრანს. ტიგ-

---

მეტი სამსახური ჩვენ გვადგია, ყველაზედ მეტი ჯაფა ჩვენ ხალხს მოზდის და მოსვენება-კი აღარსადაა ჩვენთვის.

— ეჰ, ჰე, ჰე, ჰე, ოხვრით წარმოსთქვა კიდევ ერთმა. სადღაა ჩვენთვის ან ღმერთი და ან შეწყალება? ვილაა ჩვენი პატრონი? რაიც უნდათ იმას გეიშვრებიან... ოითო-ოროლაი „მაჭყირობელაი“ მოვა და რაც უნდათ იმას ჩადიან.

— უწინ თათრობა იყო, ღვთის მადლმა, მაგრამ ეგეთი გაჭირვება არ გვინახავს... უწინ, იარაღი გვეჭირა ხელჩიგა და ვინც ჩვენზედ ძალის მოტანას მოისურვებდა, იარაღით გაეცემდით პასუხსა. ან დავიხოცებოდით, ან არა და უსამართლობას არ ავიტანდით.

ესენი ამ საუბარში იყვნენ, როდესაც გაიგონეს გზირის ხმ, რომელიც ცხენზედ (კოშკზედ) შემდგარიყო და ქვედგანა ჰკიოდა:

— სოფელო! ჯარი მოვიდა, ბეგარაი არის წასაღები, კომლზედ ურემი გამოიტანეთ.

ხალხი ზარმაცად და უკმაყოფილოდ დაიძრა ზოგი მამასახლისისაკენ, რომ მოეხერხებინათ ბეგარის თავიდგან აცდენა, ზოგიც ურმების გასამართად...

ამ ხანში ნუნუს ყურამდინაც მიაღწია იაგოს დაჭერამ და ძვეშეს გაგზავნამ.

იმ დროს ის წყალზედ მიდიოდა ტაგანა*) აკიდებული, იმას მეემატნენ კიდევ რამდენიმე დედაკაცი, ზოგი ტაგანებით, ზოგიც თულუხებით. ყველანი მხიარულის მოლიმარის სახით შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგანაც აქ ყველა პოულობდა თავის გულის მეგობარს, რომელსაც უშიშრად ანდობდა თავის გულის გრძნობას, თავის ნაღველს და გაიგონებდა თანამგრძნობელ დამამშვიდებელ სიტყვას.

მთელი დღეები მუშაობაში გამტარებელი დედაკაცები, რასაკვირველია, სიამოვნებით შეიყრებოდნენ ერთმანერთთან, სიამოვნებით დაიწყებდნენ საუბარს და მთელი დღე მარტოობაში შეგუბებულს მოაზრებულს ეხლა თავისუფალი მდინარეობა მიეცემოდა.

ნუნუმაც, რომელსაც პირისახეზედ საერთო მხიარულება არ ეტყობოდა, გასწია ერთი ქალისაკენ; ამ უკანასკნელმა დაუწყო ლოდინი მოლიმარის პირისახით, მაგრამ რა ნუნუს შეამჩნია მჭეუნვარება, მაშინვე თითონაც სახე გამოეცვალა და თანაგრძნობით წამოიძახა:

— რაი მოგსვლია?

— დავიღუპე, რუსუდანისი! დავიღუპე! უპასუხა ნუნუმა და ცრემლები გამოერია თვალებში.

იმათ გაიცადეს დედაკაცები და თითონ უკან დარჩნენ, რათა არავის დეეშალა ლაპარაკი.

— რაი ანბავია, მითხარი ჩქარა. ჰკითხა რუსუდანამ?

— რაიღა რაი ანბავია, იაგო...წარმოსთქვა ნუნუმ და სიტყვები ველარ გაათავა.

— რაი მოუვიდა? თქვი-ღა ჩქარა, უთხრა დედაკაცმა, რომელსაც წარმოთქმული მღელვარება დაეტყო.

— დაიჭირეს.

— ვინ დაიჭირა?

— დიანბეგმა.

— დიანბეგმა? ბაიმეორა რუსუდანამ და სიტყვა გაუწყდა პირში.

— რაისთვი დაუჭერია, როდისა?

— წუხელისა, ქურდობა დაუბრალებიათ.

ამის შემდეგ რამდენიმე ხანი ორივე დედაკაცები გაჩუმდნენ და ხმა ველარ ამოეღოთ.

— რაი უშავს, ბედშავო ჩემო თავო! ბამოუშვებენ ისევ, ბოლოს ეცადა დამშვიდება რუსუდანამ.

— დიახ გამოუშვებენ?.. ჩემი დაღუპაი, უნდოდათ, იმად დაიჭირეს და ვილა გამოუშვებს იმას, იმედ-გადაწყვეტით წარმოსთქვა ნუნუმ და მემრე დაუმატა:

— იმათ უნდათ სხვაზედ გამათხოვონ, მაგრამ არ გავოხოვდები, არა... თუ ძალა დამატანეს—წყალი ხომ ჩემ ხელთაა.

რუსუდანამ დაუწყო ნუნუს დამშვიდება, თუმცა იმასაც მწარედ გულს უცემდა თავის „გულის საყვარელს“ ძმად ნაფიც იაგოსთვის. იმას ბევრისა გაეგონა ასე შარ-მოკიდებით გადაღუპა თავის ქვეყნიდგან, გადაღუპა დიანბეგებისაგან, რომელთაც იმ ხანში მინიჭებული ჰქონდათ ისეთი წარმოუთქმელი და წარმოუდგენელი ძალა.

ბევრი ლაპარაკისა და რჩევის შემდეგ, ისინი მიეიდნენ ერთს გადაწყვეტილებამდის, რომელსაც ნუნუ უნდა გადაერჩინა ძალ-დატანებული ჯვარისწერისაგან.

ს. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

---

*) ტაგანა—წყლის სასმელი ჯასრი.

რანმა ის არ შეიწყნარა, და ამისთვის მიტრიდატი ეფრატის კიდიდამ გაემგზავრა ქოლხიდისაკენ, რომელსაც გარაგებდა ატლი. აქ იმან ზამთარი დაჰყო დიოსკურიაში, საიდამაც ბოსფორში გასვლა განიძრახა. პომპეი შევიდა ქოლხიდაში, მაგრამ მიტრიდატს ვერა სდია უგზა-უკლობის გამო. პომპეიმ დაჰსაჯა მიტრიდატის მოკავშირენი. ატალი დაიჭირა და მის მაგიერ ქოლხიდის გამგეობა არსტარხს მიანდო. ამ დროს იბერიის მეფემ არტაგმა და ალბანიის მეფემ ოროზესმა 75,000 მეომარი შეკრიბეს მტკვრის პირად, ეს ცნობა მიიღო პომპეიმ, როდესაც ის არგონავტებისა, და ოქროს რუნის ისტორიის გამოძიებაში იყო. პომპეიმ სწრაფულ მიჰმართა საომრად. არა ჩანს რა, გზას გაჰყვა პომპეი; სჩანს მხოლოდ, რომ იმან გამართა ხიდი მტკვარზე სანამ ის მეფეებს შეებმოდა. შეშინებულნი მეფენი შეეფარდნენ ტყეს. პომპეიმ შემოარტყა იმათ ჯარი, მისცა ცეცალი ტყეს და ამოჰხოცა ვინც კი ხელში ჩაუვარდა. მეფენი იძლიენენ, და მიეცნენ პომპეის, რომელმაც იმათ დასდო დიდა ხარკი ამანათებითურთ. მიტრიდატის შვილი ფარნაგი რომაელებს დაეპონავა და რომის მოწყალებით ბოსფორის მფლობელი შეიქნა. პონტში, ბითინია და ნაწილი ასიისა რომის მაზრებად შეირიცხნენ. ეს იყო 65 წელს. ამ გვარადვე შეიცვალა სვე ბალატისა 25 და ქაპპადოკიისა 17 წელს.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება.)

განცხადებანი

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-საბოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშიანი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაღინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანს სიგარები. (100—78)

ПОКРОВИТЕЛЬ ЖИВОТНЫМЪ

Ежемѣсячный листокъ Тифлисскаго Общества покровительства животнымъ.

Подписная цѣна: въ годъ безъ пересылки 80 к., съ пересылкою—1 р., отдѣльные №№ по розничной продажѣ —10 к.

Подписка принимается въ конторѣ редакціи помѣщающейся въ торговомъ домѣ Касумова на Эриванской площади въ д. Джакели. (5—3)

ისყიდება ორი ცხენი ახალ-თეკეს ჯინშისა „ყარა-ბაირი“, ერთი ფაშატი და მეორე ულაყი. ცხენების ნახვა და ფასის შეტყობა შეიძლება სადოვის ქუჩაზე, ბრიგოლ მელიქოვის სახლში, № 43. (5—2)

ინგლისის მაღაზიაში

ეფისელ-ჯვანი

მაკ-ფას-ფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—94)

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა მიჰმართავს ამ საზოგადოების წევრთ და სთხოვს, ვისაც წარსულის 1881 წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ამ ადრესით გამოგზავნოს; Въ Тифлисъ. Казначею Общества распространенія грамотности князю Георгію Михайловичу Туманову. Барятинская улица, собственый домъ. (6—6)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გადლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი		ჩაის უკეთგან	
— — 1 მ.	10 კაპ.	— 1 მ.	40 კაპ.
— — 1 „	20 „	— 1 „	60 კაპ.
— — 1 „	40 „	— 1 „	90 კაპ.
— — 1 „	60 „	— 2 „	20 კაპ.
— — 1 „	80 „	— 2 „	50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.		— 3 მანეთ.	

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვაგან კი ქადალდით. (100—88)

ანგარიში

რუსის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

1881 წლისა.

შემოწმებული რჩევისაგან და დამტკიცებული ყრილობისაგან 1882 წელსა თებერვლის 9-სა.

1-ს იანვრისთვის 1881 წლისა მდგომარეობდა:

	მან.	კაპ.
წილის ფული— —	4,403—	27
შესანახავათ — —	983—	2
ნასესხი — — —	4,365—	„
სათადარიგო თანხა—	58—	79¾
წმინდა მოგება— —	670—	5
სულ—	10,480—	13¾

	მან.	კაპ.
გასესხებული ამხანაგებში— — —	10,013—	50
ნაღდათ ფული —	466—	63¾
სულ—	10,480—	13¾

1881 წელში:

შემოგიდა:	მან.	კაპ.
წილის ფული— —	281—	94
სარგებელი გასესხების დროს— — —	719—	33
ჯარიმა — — —	115—	16½
დაბრუნებული გასესხებული — —	8,159—	„
შესანახავად შემოტანილი— — —	584—	38
ნასესხი — — —	8,000—	„
სათადარიგო თანხა —	62—	66¼
სხვა-და-სხვა შემოსავალი— — —	1—	80
სულ—	17,924—	27¾

გავიდა:	მან.	კაპ.
წილის ფული მიეცათ	72—	20
მოგება წლის ფულზედ	446—	42
გასესხებულა ამხანაგობაში — —	7,846—	„
დაბრუნებია სარგებელი ვადაზედ წინათ შემოტანილი —	11—	21
შესანახავათ — —	682—	2
ამისივე სარგებელი—	53—	3
ნასესხი — — —	8,285—	„
ამისივე სარგებელი—	282—	62
სამმართველოს ხარჯი	398—	61
აღებ მიცემისა— —	72—	54
სულ—	18,149—	65

1-ს იანვრისთვის 1882 წლისა არის

	მან.	კაპ.
წილის ფული— —	4,613—	1
შესანახავათ — —	885—	38
სესხათ აღებული —	4,080—	„
სათადარიგო თანხა—	121—	46
წმინდა მოგება— —	241—	91½
სულ—	9,941—	76½

	მან.	კაპ.
გასესხებული ამხანაგობაში — —	9,700—	50
ნაღდი ფული— —	241—	26½
სულ—	9,941—	26½

თავმჯდომარე ო. ნ. დისამიძე.

რჩევის წევრნი { ნ. მამატოვი. დ. მამასწერაშვილი. გ. ბეჟანიშვილი. გ. კაკულაშვილი.

წევრნი მმართვ. { ნიკ. მძინაროვი. ივანე კლიმიევი. სარქის ჯანიაშვილი.

(3—2)

ისყიდება

25% [illegible] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, [illegible]რბა, ბრინჯი, ჭურჭლები, [illegible] ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, [illegible]ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, [illegible]ები, სამურველი, ტანისამოსის [illegible] კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ[illegible] კანფეტები, რეულები, კარანდა[illegible] თოფები, რევოლვერები, კრაგები, [illegible]ჩები, ვანები, ქამრები, საფულურები, [illegible]ონკა, უნაგირები, ლაგმები, [illegible] ტასტები, პირისახოტი, ცხვირის-სა[illegible] ხულქები, ტუალეტის საპონი, დუ[illegible] შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინა[illegible]ნო, პორტ-ვეინი, სერესი, კონიაკ[illegible]ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის [illegible]ღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის [illegible] დათ: ფუთობით 40, 46, 52 [illegible] მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. [illegible] კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. [illegible] კ., 1 მ. 80., და უპირველი სარ[illegible] 2 მ.—წონა უქადალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ[illegible] (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს [illegible] კიდამ—120 მან. რევოლვერები 4— მან. და ბულდოგისა 11—20 მ. [illegible] უნაგირები 65 მან-დამ.; შუფიდლეს [illegible]ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ. [illegible] დუკ., ალბომები ნასვეარ ფასად, [illegible]ტრები და სხვ.

უველაზედ უმრავლესი ამოარჩევა თოფ[illegible]ბისა და რევოლვერებისა თოვილისში. (100—82)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში [illegible]ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი ია[illegible]სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვეშ[illegible] ისყიდება წერა-კითხვის საზოგადო[illegible] გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ტაქსა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელ[illegible] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [illegible]ნებში და დატარებით 16 თებერვალ[illegible] 1 მარტამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ[illegible]

პირველის ხარისხის	—1 გირ.
მეორის „	—1 გირ.
მესამის „	—1 გირ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ[illegible]

პირველის ხარისხის	—1 გირ.
მეორის „	—1 გირ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 ვირ.
მეორის „ „	—1 გირ.
მესამის „ „	—1 გირ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.
მეორის „	—1 გირ.
სუკი — —	—1 გირ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.

ლორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.
მეორის „	—1 გირ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Февраля 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. [illegible]